



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„*03*“ „*06*“ 2015 წელი

ეგზ. N2

საქართველოს პარლამენტის აპარატი

ფინანსური აუდიტის ანგარიში *აქ 45/00*

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

შემოკლებები	3
პირობითი აუდიტორული მოსაზრების გაცემის საფუძვლები.....	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	8

შემოკლებები

საქართველოს პარლამენტის აპარატი - პარლამენტის აპარატი;
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;
საქართველოს ფინანსთა მინისტრი - ფინანსთა მინისტრი.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს პარლამენტის აპარატის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული

სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების გაცემის საფუძვლები

საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება

პარლამენტის აპარატის 2014 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა (დამტკიცებული ბიუჯეტი 52,091.0 ათას ლარი) წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით 51,122.2 ათასი ლარი შეადგინა. საკასო ხარჯი ამ პერიოდში შეადგენდა 49,193.4 ათას ლარს, ფაქტიური ხარჯი კი 47,279.3 ათას ლარს.

შრომის ანაზღაურება

საქართველოს პარლამენტის აპარატში 2014 წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების მუხლით სულ გაცემულია 23745.8 ათასი ლარი. მათ შორის:

დასახელება	თანხა
თანამდებობრივი სარგო	9,366.147
დანამატი	10,861.480
პრემია	2,148.139
კომპენსაცია	1,370.020

საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით საქართველოს პარლამენტის აპარატის მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 840 მუშაკის ოდენობით. დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით პარლამენტის აპარატის საშტატო ოდენობამ შეადგინა 603 თანამშრომელი ხოლო 2014 წლის 31 დეკემბრისათვის 617 თანამშრომელი.¹ ფაქტიურად დასაქმებულთა რაოდენობამ კი პარლამენტარების ჩათვლით შეადგინა 706 თანამშრომელი. 2014 წლის

¹ დამტკიცებულ საშტატო განრიგში პარლამენტის წევრების გათვალისწინება არ ხდება;

განმავლობაში შტატგარეშე მომუშავე 269 თანამშრომელზე გაცემულია 4,322.5 ათასი ლარი.²

დებიტორული დავალიანება

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება შეადგენს 225.8 ათას ლარს, აქედან 75.6 ათასი ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება წარმოადგენს 1996-2005 წლებში წარმოშობილ დავალიანებებს, რომელთა ამოღების მიზნით 2008 წლის შემდგომ პერიოდში გატარებული ღონისძიებების შესახებ დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა.

კრედიტორული დავალიანება

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით პარლამენტის ბალანსზე ირიცხება 3,808.5 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, მათ შორის 1996-2007 წლებში წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებები შეადგენს 3,807.3 ათასი ლარს³. საიდანაც 2,776.3 ათასი ლარი წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზაციებზე მომსახურეობითა და მოწოდებით წარმოშობილ დავალიანებას.

დებიტორ-კრედიტორულ დავალიანებების ინვენტარიზაცია საანგარიშო პერიოდში არ ჩატარებულა, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ.⁴

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

საპარლამენტო საქმიანობის აღდგენის მიზნით საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ 2013 წლის 21 ოქტომბერს და 2013 წლის 24 დეკემბერს „SONY PROFESSIONAL SOLUTIONS MEA FZ LLC“-თან და JSG „Ares Line“-თან გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებული ხელშეკრულებების⁵ (N 1013 და N 24/12/10) შესაბამისად 2014 წლის იანვარიდან 2014 წლის აგვისტომდე პერიოდში მოწოდებული იქნა სულ 11,509.5 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის მატერიალური ფასეულობა. კერძოდ შესყიდულია 11,110.0 ათასი ლარის ღირებულების, პარლამენტის სხდომების პირდაპირი

² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის N 209 განკარგულებით საქართველოს პარლამენტისთვის მოიხსნა „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა შტატგარეშე მომუშავეების ზღვრული ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

³ აღნიშნული თანხა აღრიცხულია საცნობარო მუხლში „ვადაგადაცილებული დავალიანებები“

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი: ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების „ინვენტარიზაციის ჩატარება რეკომენდებულია - წელიწადში ორჯერ მაინც.“

⁵ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 ივნისის და 2013 წლის 22 აგვისტოს N 560 და N 1102 განკარგულებები

ტელერადიო-ტრანსლაციისათვის, სხდომათა დარბაზის, ბიუროს ოთახების, საკომიტეტო მოსმენებისა და სასერვერო და საკომუნიკაციო ოთახების აღჭურვა-მოწყობისათვის საჭირო შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობები და 398.5 ათასი ლარის ღირებულების სავარძლები. აღნიშნული მატერიალური ფასეულობების ღირებულება ბუღალტრულად მიკუთვნებულია და აღრიცხულია ბალანსის შენობა ნაგებობების მუხლში და ცვეთის სახით დარიცხულია 115.1 ათასი ლარი (ღირებულების 1%), მაშინ როცა აღნიშნული მატერიალური ფასეულობების ძირითადი ნაწილი თავისი ფუნქციური დანიშნულებისა და მომსახურების ვადებიდან გამომდინარე არ წარმოადგენენ პარლამენტის შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება სხვადასხვა დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე ასეთი სახის მატერიალური ფასეულობები ექვემდებარებოდა ბალანსის მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის მუხლში აღრიცხვას და ცვეთის დარიცხვის განსხვავებული ნორმების გამოყენებას. კერძოდ 209.7 ათასი ლარის ღირებულების გორგოლაჭებიან სავარძელზე ცვეთის სახით დარიცხულია (1%) 2.1 ათასი ლარი, ფაქტიურად კი ცვეთის არსებული ნორმიდან გამომდინარე (10%) დარიცხვას ექვემდებარებოდა 21.0 ათასი ლარი.⁶ დარღვეულია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტისა⁷ და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N 439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საწვავის ხარჯი

პარლამენტის არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის ინფორმაციის შესაბამისად (ბალანსის დანართი ფორმა 6) 2014 წელს სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საწვავის ფაქტიური და საკასო ხარჯი შეადგენს 770.8 ათას ლარს. საწვავის მომწოდებელი კომპანიების მიერ (შპს „ლუკოილ ჯორჯია“ და შპს „რომპეტროლ საქართველო“) მოწოდებული ანგარიშფაქტურებისა და აუდიტის პერიოდში აპარატის ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფის განყოფილების მიერ წარმოდგენილი ცნობის მიხედვით კი 2014 წელს სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საწვავის ფაქტიურმა

⁶ დანარჩენი მატერიალური ფასეულობები შენობაზე მიკუთვნების მიხედვით ექვემდებარება გამიჯვნას

⁷ „ყველა იმ მოწყობილობის, დანადგარის, აპარატისა და ხელსაწყოების ღირებულება, რომლებიც ძირითადი აქტივების განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენს, ემატება ამ აქტივების ღირებულებას“

ხარჯმა შეადგინა 760.8 ათასი ლარი. შესაბამისად საწვავის ფაქტიური ხარჯი წარმოდგენილია 10.0 ათასი ლარით მეტი.⁸

პარლამენტის თბომომარაგება

აუდიტით დადგენილ იქნა, რომ საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის თბომომარაგება ხორციელდება ქ.თბილისში ნიაღვრის ქუჩაზე მდებარე შენობაში განთავსებული საქვაბიდან. აღნიშნულ მისამართზე მდებარე მიწა და მასზედ განთავსებული შენობა ბუღალტრულად პარლამენტის ბალანსზე აღრიცხული არ არის. (ბუღალტრულად აღრიცხულია მხოლოდ შენობაში განთავსებული საქვაბე დანადგარი). აღნიშნულ ფართთან დაკავშირებით ირკვევა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 18 დეკემბრის N 25.09.1285 დადგენილების შესაბამისად საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის დამოუკიდებელი თბომომარაგების წყაროს შექმნის მიზნით პარლამენტს იჯარით გადაეცა N 9 თბოსადგურის ნაწილი, კერძოდ კი არსებული შენობის მარცხენა მხარის 170 კვ.მ. და ერთი საკვამლე მილი.⁹ აღნიშნული ფართის პარლამენტისათვის იჯარით გადმოცემისა (საიჯარო ხელშეკრულება, მიღება-ჩაბრების აქტი) და საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა. ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს ელ.რუკის მიხედვით აღნიშნულ მისამართზე არსებულ 309.57 კვ.მ. მიწის ნაკვეთს მინიჭებული აქვს საკადასტრო კოდი N 01.15.05.059.011. თუმცა აღნიშნული კოდით საჯარო რეესტრის ამონაწერი არ იძებნება და შესაბამისად დაუდგენელია დღეის მდგომარეობით აღნიშნული მიწის მესაკუთრე.

საჩუქრების სახით მიღებული მატერიალური ფასეულობა

წარმოდგენილი ცნობის მიხედვით პარლამენტის აპარატში 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რაოდენობრივად¹⁰ ირიცხება 299 დასახელების სხვადასხვა წლებში საჩუქრების სახით მიღებული მატერიალური ფასეულობა. აღნიშნული მატერიალური ფასეულობა შეფასებული და ბუღალტრულად ბალანსზე აღრიცხული არ არის.

⁸ აღნიშნული სხვაობის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ბალანსის დანართ ფორმა N 6-ში 2014 წლის საწვავის ფაქტიური ხარჯი აღებულია 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2014 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით.

¹⁰ პარლამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტში

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით აუდიტორული მოსაზრების საფუძვლებში დაფიქსირებული უზუსტობების გაუთვალისწინებლად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს საქართველოს პარლამენტის აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

წამყვანი აუდიტორი
მურმან დარახველიძე



3.06.2015წ.

აუდიტორი
გიორგი მშვილდაძე




3.06.2015წ.

აუდიტორ-ასისტენტი
გიორგი ჭოლოკავა



03.06.2015წ.

აუდიტორ-ასისტენტი
ნიკოლოზ ღულათავა



03.06.2015წ.